პ რ ო ე ქ ტ ი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2021 წლის -------ოქტომბერი

ქ. წყალტუბო

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“-ს“ მიერ 2020 წლის და 2021 წლის I –II –III კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, ა(ა)იპ „ **წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“-ს“ მიერ 2020 წლის და 2021 წლის I –II –III კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.**

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ „ **წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“-ს“** ანგარიში 2020 წელსა და 2021 წლის I –II-III კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ **„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“-ს“** მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I –II –III კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა მ. ბერაძე

შეთანხმებულია თ. ნიჟარაძე

93

საქართველო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: 48-4821281127
თარიღი: 08/10/2021
პინი: 2653

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ პაატა ახალაძეს

ბატონო პაატა,

გაცნობებთ, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა ოჯახის ექიმი-ფიზიკური პირის გია ხურციას განცხადება (თან ერთვის), რომელიც ითხოვს სამედიცინო საქმიანობისათვის, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, 2 (ორი) წლის ვადით ისევ გადაეცეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ოფურჩხეთში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობაში (საკ.კოდიN29.03.35.215) განთავსებული 74.87 კვ.მ. ფართი, რომელზეც დამთავრდა უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 122-ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ, მოგვცეთ თანხმობა, ოჯახის ექიმს-ფიზიკურ პირს გია ხურციას სამედიცინო საქმიანობისათვის, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, 2 (ორი) წლის ვადით გადაეცეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ოფურჩხეთში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობაში (საკ.კოდიN29.03.35.215) განთავსებული 74.87 კვ.მ. ფართი.

პატივისცემით,

გრიგოლ იოსელიანი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

2

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი"

ს/კ 421272027 5400 ქ. წყალტუბო, დედა ენის ქ. №2 ☎995 577 57 62 76 (0 436) 22 22 29

N 122/46
13/10/2021

46-122-2-202110131515

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავჯდომარეს

პაატა ახალაძეს

ბატონო პაატა,

წარმოგიდგენთ ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის" ანგარიშს 2020 წელს და 2021 წლის სამ კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

დანართი: 11 ფურცელი.

პატივისცემით,

ნინო ხურცია

მმართველი
ა(ა)ი.პ. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი"

78

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“-ს ანგარიში 2020 წელს და 2021 წლის სამ კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“, დაფუძნებულია ზოგადსაგანმანათლებლო ინტერესებზე, რომელშიც გაერთიანებულია: მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლი, თეიმურაზ კობახიძის სახელობის სამუსიკო სკოლა და სამხატვრო სკოლა. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრში, ფუნქციონირებად ყველა წრეში სწავლება უფასოა. ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის“ ფინანსდება მუნიციპალიტეტის მიერ 100%-ით.

ჩვენი ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიზანი და მიმართულებებია: ქალაქის ახალგაზრდობის ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენა. ბავშვებისა და ახალგაზრდების გონებრივ, ფიზიკურ, ზნეობრივ, ესთეტიკურ და სოციალურ-ემოციურ განვითარებაზე ზრუნვა, ეს სწორედ ის პრიორიტეტებია რომელსაც ეყრდნობა ჩვენი საქმიანობა.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი”-ს სკოლების მუშაობაში წარმატებულად დაინერგა მრავალფეროვანი აქტივობები: კონკურსები, გამოფენები, ფესტივალები, სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციები, სპორტული შეჯიბრებები, შეხვედრები გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეებთან და ა.შ.

გასულ 2020-2021 სასწავლო წელს ცენტრში ირიცხებოდა სულ 657 მოსწავლე. წლიური დაფინანსება შეადგენდა 446040 (ოთხასორმოცდაექვსიათასორმოცი) ლარს.

1. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი ახალგაზრდობის აღზრდისა და განვითარების კომპლექსური დაწესებულებაა, რომელიც ახორციელებს მიზნობრივ სოციალურ-კულტურულ საგანმანათლებლო პროგრამებს. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ფუნქციონირებდა 17 წრე, რომელშიც 2020-21 სასწავლო წლისათვის ირიცხებოდა 391 მოსწავლე.

2020 წელს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ჩატარდა სხვადასხვა მასობრივი ღონისძიებები:

იანვარი - საკონცერტო დარბაზ „ივერიაში“ წყალტუბოელ ბავშვებს ახალი წლის დადგომა მიულოცეს მიუზიკლით „ჯადოსნური საღებავები“, რომლებიც მოამზადეს ვოკალური, საბავშვო თეატრისა და სპორტული სამეჯლისო წრის მოსწავლეებმა (ხელმძღვანელები: ხათუნა ბუაძე, ქეთევან ანდრიაძე და მართა იოსელიანი).

25-27 იანვარს ბაკურიანში გამართულ საესტრადო ფესტივალში „თოვლის ფანტელი“ მონაწილეობდა ვოკალური ანსამბლი „ოცნება“ (ხელმძღვანელი ხათუნა ბუაძე), რომლის წევრები დაჯილდოვდნენ პრიზებით.

1-2 თებერვალს ბათუმში გამართულ საქართველოს ტაეკვანდოს ჩემპიონატზე მონაწილეობდა ტაეკვანდოს წრის ხუთი მოსწავლე (ხელმძღვანელი ზურაბ სალუქვაძე).

ოთხ მონაწილეს გადაეცა ოქროს მედალი, ხოლო ერთს ვერცხლი.

8 თებერვალს დავით აღმაშენებლის დღის აღსანისნავად ჭადრაკის წრემ ჩაატარა შიდა საწრეო ღია ჩემპიონატი და გამარჯვებულებს გადაეცა სიგელები.

მარტის თვიდან წრეობრივი მუშაობა გადავიდა ონლაინ სწავლებაზე პანდემიის გამო.

მაისი - დაწყებითი განათლების წრეში ჩატარდა კონკურსი ვწერთ უშეცდომოდ (ხელმძღვანელი თამარ ხურცია) გამარჯვებულებს გადაეცათ სიგელები.

2020 წლის სექტემბერში ახალი სასწავლო წლის დაწყების აღსანიშნავად ჩატარდა „ღია კარის დღე“. საბავშვო თეატრისა და ვოკალური წრის წევრთა მონაწილეობით. (ხელმძღვანელები: ხათუნა ბუაძე, ქეთევან ანდრიაძე).

ვოკალური წრის მიერ ჩაწერილი იქნა კლიპი „ჩემი ქალაქი წყალტუბო“.

16 ოქტომბერს იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირის სპექტრთან ერთად ეკოლოგიის წრემ ხელმძღვანელი ცირა ბერეკაშვილი მოაწყო ვორქშოფი „პლასტიკატის ნარჩენებისაგან საჭირო ნივთების დამზადება“, პროექტით „მდინარეები და შავი ზღვა პლასტიკის გარეშე“ ფარგლებში.

12 დეკემბერს ეკოლოგიის წრის ხელმძღვანელი ცირა ბერეკაშვილი ჩაერთო ონლაინ კონფერენციაში იმერეთის მხარის მეცნიერებათა კავსირის „სპექტრთან“ერთად „შავი ზღვის აუზის დაცვის ფარგლებში.

2. თეიმურაზ კობახიძის სახელობის სამუსიკო სკოლა

მინდა მოგახსენოთ, რომ მუსიკალური სკოლა მიზანმიმართულად ემსახურება განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულ მოსწავლეთა გამოვლენას. გარდა იმისა, რომ აქ მოსწავლე იღებს დაწყებით მუსიკალურ განათლებას, ვახდენთ მათ პოპულარიზაციას, რაც გამოიხატება რესპუბლიკის მასშტაბით სხვადასხვა კონკურს -ფესტივალებში მონაწილეობით. სამუსიკო სკოლაში 2020- 2021 სასწავლო წლისათვის ირიცხებოდა 145 მოსწავლე.

სასწავლო გეგმის მიხედვით სამუსიკო სკოლის პედაგოგებმა მუშაობა დაიწყო ახალ საპროგრამო ნაწარმოებზე. ამავე დროს შეუდგა სამზადსს შიდა სასკოლო, რეგიონალური და რესპუბლიკური კონკურსებისათვის. მალევე მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმა არ მოგვცა საშუალება სწავლის გაგრძელებისა და თებერვლის ბოლოს შეწყდა სასწავლო პროცესი შესაბამისად ჩაიშალა ყველა დაგეგმილი ღონისძიებები და კონკურსები. დავიწყეთ გამოსავლის პოვნა მოსწავლეებთან წვდომისა, გაგვეგრძელებინა დისტანციურ რეჟიმში სწავლა. ეს ჩვენი სპეციფიკიდან გამომდინარე წარმოუდგენლად გვეჩვენებოდა. იმისათვის, რომ ბავშვებს ცოტა დრო მაინც გაეტარებინათ ინსტუმენტთან გადავწყვიტეთ სემესტრული მოთხოვნების გამარტივება. შევუდექით თავიდან თითქოს რთულად მაგრამ შეძლებისდაგვარად მოერგო პედაგოგები ტექნიკურ ფორმას. პედაგოგების თავდაუზოგავი შრომის ფასად დისტანციურად მოსწავლეებმა სემესტრის ბოლოს შესძლეს პროგრამის შესწავლა. აღნიშნულის შედეგი და შეფასება მოახდინა საგნობრივმა კომისიამ, თითოეული პედაგოგის მიერ თავიანთი მოსწავლეების პროგრამის ჩათვლების ონლაინ რეჟიმში მოსმენით. ამავე დროს ჩატარდა 45 წუთიანი ონლაინ კონცერტი რაც დიდ მიღწევად მიგვაჩნია.

ტრადიციულად მერვე წელია ჩვენს ქალაქში არასათავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელობით ტარდება ხელოვნების ფესტივალი რომელშიც აქტიურადაა ჩაბმული სამუსიკო სკოლის მოსწავლეები. კერძოდ გერმანიიდან ჩამოსულ მუსიკოსებთან გაიმართა ერთობრივი კონცერტი ღია ცის ქვეშ .

2020 წლის 26 სექტემბერს ღია ცის ქვეშ ხელოვნების ფესტივალის ფარგლებში ერთი დღე დაეთმო სამუსიკო სკოლის კონცერტს. მოსწავლეებმა მაღალი დონის მუსიკოსებთან ერთად შეასრულეს ევროპელი და ქართველი კომპიზიტორების ნაწარმოებები.

3.სამხატვრო სკოლა

მოგახსენებთ, რომ სკოლამ თავისი არსებობის მანძილზე არაერთი ნიჭიერი თაობა აღზარდა, სკოლის აღზრდილები დღეს პროფესიონალი მხატვრები არიან და ეწევიან შემოქმედებით მუშაობას. მოსწავლეები სამხატვრო სკოლაში ეუფლებიან ხელოვნების სხვადასხვა დარგებს: ხატვას, ფერწერას, კომპოზიციას, ქანდაკებას, დეკორატიულ კომპოზიციასდა ხელოვნების ისტორიას. სამხატვრო სკოლაში 2020-2021 სასწავლო წლისათვის ირიცხებოდა 121 მოსწავლე.

სამხატვრო სკოლაში პედაგოგთა და სპეციალისტთა ერთობლივი მონაწილეობით ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:

2020 წლის 28 იანვარს ჩატარდა თეორიული კონფერენცია თემაზე ,,ელენე ახვლედიანის ცხოვრება და შემოქმედება“, სადაც განხილული იქნა მხატვრის ნამუშევრები.

13 თებერვალს სამხატვრო სკოლის დარბაზში მოეწყო გამოფენა თემაზე „სიყვარულის ფერები“.

6 მარტს ჩატარდა თეორიული კონფერენცია თემაზე „ეკატერინე ბაღდავაძის ცხოვრება და შემოქმედება

10 ივნისს სამხატრო სკოლის საგამოფენო დარბაზში გაიმართა მოსწავლეთა ნამუშევრების შემაჯამებელი გამოფენა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სამხატვრო სკოლის ყვალა მოსწავლემ.

27 აგვისტოს ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმის ეზოში გაიმართა იასონ ლორთქიფანიძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება, სადაც გამოფენილი იყო წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ რეწვის ოსტატთა მიერ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების 2020 წლის 25-27 სექტემბერს წყალტუბოს ხელოვნების ფესტივალის ფარგლებში გაიმართა კერამიკის ვორქ-შოფი, სადაც მოეწყო ვორქ-შოფის ფარგლებში შექმნილი ნამუშევრების გამოფენა.

28 დეკემბერს სამხატვრო სკოლის გვერდზე აისახა საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე ონლაინ გაკვეთილებზე შესრულებული ნამუშევრების საახალწლო გამოფენა.

მოგახსენებთ, რომ 2020 წლის წლიური დაზუსტებული ხარჯები იყო 446040 ლარი. ათვისებულია 433259 ლარი.

კერძოდ:

1. ხელფასები დამტკიცებულია – 403260 ლარი, ათვისებულია – 403015 ლარი;

2. მივლინება დამტკიცებულია – 400 ლარი, აუთვისებელია.

3. საკანცელარიო ხარჯი დამტკიცებულია – 3000 ლარი, ათვისებულია – 2548 ლარი;

4. ნორმატიული აქტები დამტკიცებულია – 1300 ლარი, ათვისებულია -1290 ლარი;

5. მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა დამტკიცებულია – 3500 ლარი, ათვისებულია - 3200;

6. საოფისე ინვენტარის შეძენა დამტკიცებულია – 600 ლარი, ათვისებულია 600 ლარი;

7. ოფისის მასალების შეძენა დამტკიცებულია – 3000 ლარი, ათვისებულია -3000 ლარი;

8. კავშირგაბმულობის ხარჯი დამტკიცებულია – 4500 ლარი, ათვისებულია – 3942 ლარი; დაიხარჯა ადგილობრივ ტელეფონზე, ინტერნეტზე და ჯეოსელის მომსახურებაზე.

9.კომუნალური ხარჯები დამტკიცებულია – 14800 ლარი, ათვისებულია 8666 ლარი; დაიხარჯა ელ. ენერგიის და წყლის მომსახურეობაზე.

10. სამედიცინო ხარჯი დამტკიცებულია 1200 ლარი, ათვისებულია 1200 ლარი;

11. ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი დამტკიცებულია – 700 ლარი, ათვისებულია - 450 ლარი; დაიხარჯა ცენტრის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ვოკალური წრის მოსწაავლეების გადასაყვანად ბაკურიანში, ფესტივალში მონაწილეობისათვის.

12. აუდიტორული მომსახურეობის ხარჯი დამტკიცებულია – 500 ლარი, აუთვისებელია.

13. შენობა-ნაგებობების დაცვის ხარჯი წლიური დამტკიცებულია -1100 ლარი. ათვისებულია-1090 ლარი.

14. კულტურული ღონისძიებების ხარჯი დამტკიცებულია – 1400 ლარი, ათვისებულია – 850 ლარი; დაიხარჯა კულტურული ღონისძიებების ჩასატარებელი სპექტაკლის დეკორაციებითვის.

15. სამკინძაო დამტკიცებულია 200 ლარი, ათვისებულია 130 ლარი;

16. ელექტრონული დოკუმენტების ხარჯი დამტკიცებულია 580 ლარი, დახარჯულია -312 ლარი.

17. სამშენებლო მასალების ხარჯი დამტკიცებულია-2500 ლარი ათვისებულია - 2500 ლარი;

18. სოციალური უზრუნველყოფის ხარჯი დამტკიცებულია – 500 ლარი, ათვისებულია - 466 ლარი;

19. ძირითადი აქტივობები სხვა მანქანა დანადგარები დამტკიცებულია –3000 ლარი, აუთვისებელია.

2021 წლის I-II-III კვარტალი

მოგახსენებთ, რომ 2021 წლის I-II-III კვარტალში ჩვენი ცენტრის მიზნებიდან გამომდინარე კვლავ განხორციელდა სოციალურ-კულტურულ საგანმანათლებლო პროგრამები კერძოდ:

1. **მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი:**

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში დღეის მდგომარეობით ფუნქციონირებს 17 წრე და ირიცხება 335 მოსწავლე. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი კვლავ ახორციელებს მიზნობრივ სოციალურ-კულტურულ საგანმანათლებლო პროგრამებს და 2021 წლის I, II, III კვარტალში მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მოსწავლეების ჩართულობით ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:

2021 წლის 16 თებერვალს - ჩატარდა ღონისძიება წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, რომელსაც ხელმძღვანელობდა საბავშვო თეატრის მოყვარულთა წრის ხელმძღვანელი: ქეთევან ანდრიაძე;

8 მარტს - ქალთა საერთაშორისო დღესთად დაკავშირებით ჩატარდა ლიტერატურული საღამო რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ვოკალური წრის ხელმძღვანელი ხათუნა ბუაძე და საბავშვო თეატრის მოყვარულთა წრის ხელმძღვანელი: ქეთევან ანდრიაძე;

21 მარტს - დაუნის სინდრომის მსოფლიო დღესთან დაკავსირებით ეკოლოგიის წრის წევრებმა ხელმძღვანელ ცირა ბერეკაშვილის ხელმძღვანელობით წარმოადგინეს საკონფერენციო თემები და მოახდინეს პრეზენტაცია, ამავე წრის მიერ 22 მარტს - გაიმართა წყლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გამართეს კონფერენცია;

15 აპრილს - ,,დედა ენის" დღეს მიუძღვნეს ლიტერატურული კომპოზიცია ერის საუნჯე საბავშვო თეატრის მოყვარულთა წრის წევრებმა და 16 აპრილს - გაიმართა ინტელექტუალური თამაში ,,ენის საუნჯე".

22 აპრილს - ,,დედამიწის დღესთან დაკავშირებით" ჩატაატარა ღია გაკვეთილი ეკოლოგიის წრემ და მოწვეულ იქნა ა.წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის ლექტორი ქეთევან ცხაკაია.

22 მაისს - ვოკალური ჯგუფი ,,ოცნების"მოსწავლეები მიწვეულ იქნა ქ. ბათუმში TV 12 -ის ტელევიზიაში სადაც გადაღებულ იქნა კლიპი;

1 ივნისს - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ჩატარდა ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია „უღრუბლო ზეცა",რომელიც მდიდარი იყო სხვადასხვა აქტივობებით;

4,5 და 6 ივნისს - ქ. ბათუმში ჩატარდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ტაეკვონდოში. სადაც ნორჩი სპორცმენები დაჯილდოვდნენ ორი ოქროს და ერი ვერცხლის მედლით (წრის ხელმძღვანელი ზურაბ სალუქვაძე);

26 ივნისს ვოკალური ჯგუფი „ოცნება" მიწვეული იქნა ქ. ქობულეთში გამართულ სამეგრელო-ზ/სვანეთის რეგიონალურ ფესტივალში „ჰარირა-20-21"სადაც დაჯილდოვდნენ დიპლომებით.

27 ივნისს - კასპში ჩატარდა საქართველოს ღია ჩემპიონატი, ტაეკვონდოში, სადაც მონაწილეობდნენ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ,,ტაეკვონდოს" წრის

სპორტცმენები სადაც დაჯილდოვდნენ ოქროს, ვერცხლის, და ბრინჯაოს მედლებით.

2. სამუსიკო სკოლა:

მოგახსენებთ, რომ სამუსიკო სკოლაში 2020-2021 სასწავლო წელს ირიცხება 140 მოსწავლე. წყალტუბოს სამუსიკო სკოლა მიზანმიმართულად ემსახურება განსაკუთრებული ნიჭით დაჯილოვებულ მოსწავლეთა აღზრდა- გამოვლენას. გარდა იმისა, რომ მოსწავლე აქ იღებს დაწყებით მუსიკალურ განათლებას, ვახდენთ მათ პოპულარიზაციას, რაც გამოიხატება მოსწავლეთა მონაწილეობით რესპუბლიკის მასშტაბით სხვადასხვა ფესტივალ- კონკურსებში .

I- II- III კვარტალში სკოლაში გაწეული მუშაობის პერიოდი მოიცავს სკოლისათვის სასწავლო წლის მე-2 სემესტრს. 2020-21 საწავლო წელი როგორც ქვეყნისათვის ასევე სკოლისათვის პანდემიის გამო, უჩვეულო ფონზე წარიმართა, მიუხედავად ამისა სკოლამ შეძლო და მაქსიმალურად წარმართა ეს რთული პერიოდი, ანუ სწავლება მიმდინარეობდა დისტანციურად, პედაგოგებმა მალე აუღეს ალღო და ჩაერთნენ მოსწავლეებს, ხოლო შედეგი ვიხილეთ ჩათვლებზე საპროგრამო მასალის ჩაბარების დროს. დისტანციურ სწავლებას წინ უძღოდა ერთნახევარი თვის მანძილზე საკლასო ოთახებში გაკვეთილების ჩატარება, მიუხედავად ამისა სემესტრი შედგა. შევძელით 40 წუთიანი ვიდეო რგოლის აწყობა, რომელშიც ასახული იყო ყველა პედაგოგის მიერ გაწეული მუშაობა.

I კვარტალში 1 თებერვალს მოსწავლეების დასწრების რეჟიმით დაიწყო სწავლება. მასწავლებლებს დიდი ძალისხმევა დაჭირდათ მოსწავლეების ფორმაში ჩასაყენებლად. შექმნილი მდგომარეობის გამო მე-2 კვარტალის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები სრულყოფილად ვერ ჩატარდა სამუსიკო სკოლამ მხოლოდ მონაწილეობა ქ. ქუთაისში მაისის თვეში ჩატარებულ მე-14 ეროვნული კონკურსის "მომავლის ვარსკვლავები" პირველ ტურში. კონკურსში მონაწილეობას ღებულობდა ოთხი მოსწავლე აქედან ერთი მოსწავლე მიწვეულ იქნა გალა კონცერტზე ქ. თბილისში.

მე-2 სემესტრში ჩატარდა ორი დახურული კონცერტი, მუსიკალური მიმართულების სამივე განყოფილებიდან 80-მა ბავშვმა მიიღო მონაწილეობა.

შემოდგომისთვის ტრადიციულად სამუსიკო სკოლა ემზადება წყალტუბოს არტ ფესტივალის ფარგლებში მონაწილეობის მისაღებად. ამჟამადაც სკოლაში მიმდინარეობს აქტიური მუშაობა სტუმრებთან შესახვედრად. მინდა ავღნიშნო, რომ ფესტივალში სკოლის პედაგოგთა და მოსწავლეთა ჩართულობამ

დიდი შედეგი მოგვიტანა, საშემსრულებლო დონის ამაღლებისა და განვითარებისათვის.

3. სამხატვრო სკოლა

მოგახსენებთ, რომ სკოლამ თავისი არსებობის მანძილზე არაერთი ნიჭიერი თაობა აღზარდა. სკოლის აღზრდილები დღეს პროფესიონალი მხატვრები არიან და ეწევიან შემოქმედებით მუშაობას.

ამჟამად სკოლაში სწავლობს 117 მოსწავლე. მათ პროფესიულ განათლებას აზიარებს 7 კვალიფიციური პედაგოგი. თითოეული მათგანი ეწევა აქტიურ შემოქმედებით მუშაობას და სათანადოდ ზრუნავს სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის სწორად წარმართვაზე.

მოსწავლეები სამხატვრო სკოლაში ეუფლებიან ხელოვნების სხვადასხვა დარგებს: ხატვას, ფერწერას, კომპოზიციას, ქანდაკებას, დეკორატიულ კომპოზიციას და ხელოვნების ისტორიას.

სამხატვრო სკოლას აქვს ფონდები და საგამოფენო დარბაზები, რომელსაც ემსახურება 5 სპეციალისტი. მათ მიერ მუშავდება თემები გამოჩენილ მხატვართა ,,ცხოვრებისა და შემოქმედების" შესახებ, რომელთაც თან ერთვის ნამუშევრების ექსპონირება ფართო ეკრანზე რეფერატის სახით. ამასთანავე ხდება ქ. წყალტუბოში მცხოვრებ რეწვის ოსტატთა მოძიება. ნამუშევრების შეგროვება და ფართო საზოგადოებისთვის წარდგენა პოპულარიზაცია. სამხატვრო სკოლაში სისტემატიურად ტარდება საგაზაფხულო, საშემოდგომო და საშობაო გამოფენები. მათ შორის პერსონალური, თემატური და გასვლითი ონისძიებები. სკოლის მოსწავლეები მონაწილეობას ღებულობენ უცხოეთში გამართულ გამოფენა-კონკურსებში.

2021 წლის 25 იანვარს სამხატვრო სკოლაში გაიმართა თეორიული კონფერენცია თემაზე ,,მიქელანჯელო".

13 თებერვალს სიყვარულის დღესთან დაკავშირებით ჩატარდა თემატური გამოფენა.

6 მარტს ჩატარდა ონლაინ გამოფენა დედის დღესთან დაკავშირებით.

1 აპრილს ჩატარდა თეორიული კონფერენცია თემაზე ,,ნიკო ფიროსმანის" შემოქმედება.

22 აპრილს გაიმართა დედამიწის დღესთან დაკავშირებით თემატური გამოფენა დისტანციურად.

5 ივნისს ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე მოეწყო გამოფენა ,, გარემოს დაცვის მსოფლიო დღესთან" დაკავშირებით, სადაც სამხატვრო სკოლის მოსწავლეებმა წარმოადგინეს თემატური ნამუშევრები.

10 ივნისს სამხატვრო სკოლაში გაიმართა მოსწავლეთა ნამუშევრების შემაჯამებელი გამოფენა.

15 ივლისს მოეწყო სამხატვრო სკოლის ,,ფონდის ნამუშევრების" გამოფენა.

მოგახსენებთ, რომ 2021 წლის სამ კვარტალში დაზუსტებული ხარჯები იყო 380136 ლარი. ათვისებულია - 329551 ლარი და 10 თეთრი

კერძოდ:

1. ხელფასები დამტკიცებულია – 328710 ლარი, ათვისებულია – 308145 ლარი და 92 თეთრი;
2. მივლინება დამტკიცებულია – 900 ლარი, ათვისებულია - 45 ლარი;
3. საკანცელარიო ხარჯი დამტკიცებულია – 2400 ლარი, ათვისებულია – 1000 ლარი;
4. ნორმატიული აქტები დამტკიცებულია – 1000 ლარი, ათვისებულია 443 ლარი;
5. მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა დამტკიცებულია – 4960 ლარი, ათვისებულის 560 ლარი და 50 თეთრი;
6. საოფისე ინვენტარის შეძენა დამტკიცებულია – 4500 ლარი, ათვისებულია 110 ლარი;
7. ოფისის მასალების შეძენა დამტკიცებულია –2250 ლარი, ათვისებულია 1200 ლარი;
8. შენობა-ნაგებობის და მათი მიმდებარე ტერიტორიის მიმდინარე რემონტის ხარჯი დამტკიცებულია 2000 ლარი, აუთვისებელია;
9. საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მიმდინარე რემონტის ხარჯი დამტკიცებულია 750 ლარი, ათვისებულია 100 ლარი;
10. კავშირგაბმულობის ხარჯი დამტკიცებულია – 3375 ლარი, ათვისებულია – 2461 ლარი და 70 თეთრი; დაიხარჯა ადგილობრივ ტელეფონზე, ინტერნეტზე და ჯეოსელის მომსახურებაზე.
11. კომუნალური ხარჯები დამტკიცებულია – 10885 ლარი, ათვისებულია - 9275 ლარი და 88 თეთრი დაიხარჯა ელ. ენერგიის და წყლის მომსახურეობაზე;
12. სამედიცინო ხარჯი დამტკიცებულია - 1700 ლარი - აუთვისებელია;
13. რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენა დამტკიცებულია - 1500 ლარი - აუთვისებელია;

14. ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი დამტკიცებულია – 2250 ლარი, ათვისებულია 1500 ლარი;
15. აუდიტორიული მომსახურების ხარჯი - დამტკიცებულია 500 ლარი აუთვისებელია;
16. საარქივო მომსახურების ხარჯი - დამტკიცებულია 1500 ლარი, აუთვისებელია;
17. შენობა-ნაგებობების დაცვის ხარჯი დამტკიცებულია - 1460 ლარი, ათვისებულია- 1260 ლარი;
18. სამკინძაოს ხარჯი დამტკიცებულია - 700 ლარი - აუთვისებელია;
19. ელექტრონული შტამპი დამტკიცებულია 250 ლარი და ათვისებულია 250 ლარი;
20. კულტურული ღონისძიებების ხარჯი დამტკიცებულია – 3600 ლარი, აუთვისებელია.
21. ელექტრონული დოკუმენტების ხარჯი დამტკიცებულია 436 ლარი, ათვისებულია 192 - ლარი;
22. სამშენებლო მასალების შეძენა - დამტკიცებულია 1500 ლარი, ათვისებულია 800 ლარი;
23. სახელშეკრულებო წესით შესრულებული სამუშაოების მომსახურება დამტკიცებულია 2000 ლარი, 1700 ლარი ათვისებულია;
24. სოციალური უზრუნველყოფის ხარჯი დამტკიცებულია – 1000 ლარი, ათვისებულია 507 ლარი.

მომავალში „ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის" მთავარი საზრუნავი, კვლავ ბავშვებისა და ახალგაზრდების იდეური ფორმირება, მორალურ-ზნეობრივი სრულყოფა, სულიერი წრთობა, მათი ეროვნულ პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდა იქნება. მოსწავლე-ახალგაზრდობის მუსიკალური, სპორტული, სახვითი ხელოვნების ნიჭიერების უნარისა გამოვლენისა და განვითარებისათვის, მიზნად ვისახავთ კიდევ უფრო მეტი შემეცნებითი ახალი ღონმისძიებების მომზადება-ჩატარებას,ახალი აქტივობების ძიებასა და სააღმზრდელო საქმიანობაში მათ პრაქტიკულ დანერგვას სახელმწიფო საგრანტო ახალი პროექტების მომზადებას.

ამასთან უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენს პრობლემად ისევ და ისევ რჩება მოუწისრეგებელი ინფრასტრუქტურა, გვესაჭიროება დარბაზების კეთილმოწყობა, ახალი ინვენტარი და ტექნოლოგიები. დღევანდელობის გაზრდილ მოთხოვნებს მინიმალურადაც კი ვერ აკმაყოფილებს ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მატერიალური ბაზის თვალსაზრისით კეთილმოწყობას საჭიროებს სამუსიკო და

სამხატვრო სკოლების და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სასწავლო -სამეცადინო ოთახები, სააქტო და საგამოფენო დარბაზები.

ნინო ხურცია

მმართველი

ა(ა)ი.პ. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი''

ადრესატი:

თენგიზ ნიჟარაძე
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-კომისიის თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**49-49212919**
თარიღი: **18/10/2021**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და

ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს

ბატონ თენგიზ ნიჟარაძეს

ბატონო თენგიზ,

წარმოგიდგენთ განკარგულების პროექტს - **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“-ს“ მიერ 2020 წლის და 2021 წლის I -II -III კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ“,** კომისიის სხდომაზე განსახილველად.

მაია ბერაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ა პ ა რ ა ტ ი-იურიდიული საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილება-მეორე რანგის მეორადი სრტუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (მოვალეობის შემსრულებელი)

90

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“-ს“ მიერ 2020 წლის და 2021 წლის I –II –III კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, ა(ა)იპ **„ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“-ს“ მიერ 2020 წლის და 2021 წლის I –II –III კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.**

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ **„ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“-ს“** ანგარიში 2020 წელსა და 2021 წლის I –II-III კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ **„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“-ს“** მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I –II –III კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“-ს მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II-III კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ 2021 წლის 26 ოქტომბრის კომისიის სხდომაზე განიხილა ანგარიში - ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“-ს მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II-III კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“-ს მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II-III კვარტალში გაწეული მუშაობა შეაფასა დადებითად და მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი ანგარიში, რომელზედაც კანონმდებლობის შესაბამისად, საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილების მიერ მომზადდა შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტი, გატანილ იქნეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განსახილველად (თან ერთვის).

კომისიის თავმჯდომარე
თენგიზ ნიჟარაძე